ეროვნული ბიბლიოთეკა

572
1951

დილა

№6
128

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლით
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

572

ნახატი ვ. ჯაფარიძისა

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში

საგურამოში 27 მაისს გაიხსნა უდიდესი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

ამ სახლში წერდა დიდი ილია თავის უკვდავ ნაწარმოებებს.

ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშობლიური ხალხისათვის თავდადებულ სამსახურს.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მოწიწებით მოუყარა თავი ილიას ნაქონ მრავალ ნივთს: აღდგენილია ილიას სამუშაო ოთახი, იქ დგას საწერი მაგიდა, რომელთანაც ღამეებს ათენებდა დიდი ილია. იქვეა კარადა ილიას საყვარელი წიგნებით, ტახტი და სავარძელი, რომელშიც ისვენებდა მუშაობით დაღლილი პოეტი; ყოველი ნივთი დევს ისე, როგორც განსვენებულ პოეტს დარჩა.

27 მაისი ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა. ამ დღეს მრავალმა ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი საგურამოში დიდი პოეტის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნა კიდევ ერთი გამოხატულებაა იმ დიდი ამაგისა და ზრუნვისა, რომელსაც იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა ქართული კულტურისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4924

ნახატი შ. ცხადაძისა

ილია ჭავჭავაძე ბავშვებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ნახატები ალ. ბანძელაძისა

ვოლგა-დონისაკენ

გოჩას მშობლები ქუთაისში ცხოვრობენ, ქალაქგარეთ, პატარა გორაკზე.

დედამ და მამამ ეს ადგილი თვითონ ამოირჩიეს სამოსახლოდ.

ააგეს სახლი. დედამ იგი შიგნით მორთო. კედლებზე ხალები და ფანჯრებზე ფარდები ჩამოჰკიდა, იატაკზე ქეჩები დააგო. მამა კი სულ ეზოში ტრიალებდა; შემორაგვა და გადააბრუნა მიწა. გათხარა ორმოები. გაზაფხულზე ამ ორმოებში ხეხილი დარგო.

ერთ კვირადღეს, მაისის დამლევს, მამა და დედა ეზოში მუშაობდნენ. მამა ხეხილს კირის ხსნარს უსვამდა, დედა ყვავილებს რგავდა. გოჩამ დილითვე მოამზადა გაკვეთილები. ახლა ისიც მშობლებთან იყო. ხან მამას ფუნჯს მიურბენინებდა, ხან დედას წყალს მიაწვდიდა.

ამ დროს ჭიშკარი გაიღო და ეზოში შემოვიდნენ სამთო მოწყობილობათა ქარხნის ოსტატები. გოჩას მამის ამხანაგები: თეთრწვეროა თევდორე, გიორგი, პეტრე და მარიამი.

სტუმრები მიესალმნენ მასპინძლებს. გიორგომ გოჩა ხელში შეაბურთავა და მხრებზე შეისვა.

დედა მარიამმა ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა.

— რომელ კლასში ხარ?—ჰკითხა.

— მეორეში ვარ, მესამეში გადავდივარ.—მიუგო გოჩამ.

— ყოჩაღ!—მოუწონა მარიამმა.

დედამ სტუმრები შინ შეიპატიჟა. სტუმრებმა იუარეს. აბა, ამ ბაღში ყოფნას რა ჯობიაო, — თქვა პაპა თევდორემ და დედამაც უმალვე გარეთ გამოიტანა სკამები, მრგვალ მაგიდას შემოუდგა ნორჩი კაკლის ჩრდილში.

— კარგი ადგილი ამოგირჩევია სამოსახლოდ.—შეაქო პაპა თევდორემ გოჩას მამა და მაღლობიდან თვალი მოავლო ქუთაისს.

— დილით რომ გამოვალ და აქედან გადავხედავ ქალაქს, ეს არის ჩემი სიხარული.—ჩაილაპარაკა მამამ და სტუმრები მრგვალ მაგიდასთან მიიწვია.

— თუმცა, ჩვენ აქ ქალაქის დასათვალიერებლად არ მოვსულვართ. სულ სხვა საქმე გვაქვს.—კვლავ განაგრძო საუბარი პაპა თევდორემ.

— ბრძანეთ!—სთხოვა მას მამამ და თვითონაც ჩამოჯდა.

— ჩვენ გვინდა ქარხნის საპატიო დავალება გაცნობოთ!—დაიწყო მარიამმა.

— სწორია.—ჩამოართვა სიტყვა მარიამს თევდორემ.—სტალინგრადი უნდა გაჩვენოთ!

— სტალინგრადის ნახვა არ მაკლია.—ღიმილით თქვა მამამ.

— ახლა სხვა საქმეა!—განაგრძო თევდორემ.—წუხელ ჩვენი მთავარი ინჟინერი გვეკითხება: ვინ გავაყოლოთ თან ჩვენი ქარხნის მიერ დამზადებულ ვოლგა-დონის არხის მოწყობილობასო. ჩვენც ყველამ ერთად მივუგეთ, რომ შენ ყველას გვაჯობებ ამ საქმეში. გზაც იცი.

— ვიცი!

— სატუმბავი მანქანების დამზადებასაც შენ აწარმოებდი.

— დიახ!

— მაშ, რადგან ქუთაისლებს ეს საპატიო ამოცანა—ვოლგა-დონის არხის მოწყობილობათა დამზადება წილად გვხვდა, ბოლომდე სასახელოდ შევასრულოთ!

— ამასაც მოვესწარი. დიდი შეტევის დროს ბატარეის უფროსი ვიყავი სტალინგრადის ბრძოლაში. ახლა იმავე ადგილის დასამშვენებლად ქუთაისში სატუმბო მანქანები დავამზადე და ადგილ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვოლგა-დონის მშენებლობაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზე დადგმაშიც უნდა მივიღო მონაწილეობა.—სიხარულით თქვა მამამ.

— ერთი სიტყვით, ამ მანქანებმა ისე უნდა გვასახელონ ვოლგა-დონის არხზე, როგორც სამამულო ომში, იქ, ჩვენმა მეომრებმა გვასახელეს.—თქვა პაპა თევდორემ.

* * *

სტუმრები წავიდნენ.

მამამ და შვილმა ბაღში განაგრძეს მუშაობა. ახლა გოჩა უფრო ეხმარებოდა მამას.

— მამიკო, რად გგზავნიან სტალინგრადში, სად უნდა წაიღო სატუმბავები, რა არის ვოლგა-დონი?

— აბა,ჯერ შენ მითხარი, რა არის ვოლგა?—ჰკითხა მამამ შვილს.

— ვოლგა დიდი, ძალიან დიდი მდინარეა, კასპიის ზღვას ერთვის.

— დონი?

— დონიც დიდი მდინარეა, ოღონდ აზოვის ზღვას ერთვის.

— ისიც იცი თუ არა, რომ ეს ორივე მდინარე სანაოსნოა?

— ვიცი!

— მაშ ახლა ესეც იცოდე,—დაიწყო მამამ.—ეს ორი დიდი მდინარე სტალინგრადთან ერთმანეთს ძალიან უახლოვდება.

იმათ ერთმანეთისაგან ჰყოფს უდაბური ველები და გორაკები. ახლა ხალხმა გადასწყვიტა: გაარღვიოს ეს გორაკები, გათხაროს ველები და შეაერთოს ისინი დიდი არხით. ამ არხებით ვოლგიდან დონში და დონიდან ვოლგაში იცურებენ დიდი გემები. გზადაგზა ეს არხი მორწყავს აქამდე უნაყოფო ველ-მინდვრებს. აამუშავებს დიდ, ძალიან დიდ ელექტროსადგურებს.

ზოგ ადგილას, სადაც წყალი დიდ სიმაღლეზე იქნება ასაყვანი, სატუმბო მანქანები იმუშავებენ. ზოგიერთი ასეთი მანქანა დაამზადა ქუთაისის სამთო მოწყობილობათა ქარხანამ. ამ მანქანების ადგილამდე გადატანა დამავალეს ჩემმა ამხანაგებმა.

— როგორ გაიგებენ, მამილო, რომ ეს მანქანები შენი გაკეთებულია?

— ყველა მანქანას აწერია „დამზადებულია ქუთაისის ქარხანაში“.

— მამილო, გიყვარს სტალინგრადი?

— ძალიან. იქ ვებრძოდი მტერს ჩემი ქვემეხებით.

— ძალიან გიყვარს შენი გაკეთებული მანქანები და შენი ქარხანა?

— ის სატუმბი მანქანები ჩემი და ჩემი მეგობრების ხელით არის შექმნილი; ჩვენმა ქარხანამ ოსტატად გამზარდა და აგერ შენა და შენ დაიკოს გზრდით.

— მამიკო, როცა წახვალ, მეც თან წამიყვანე. მინდა ვნახო ის ადგილები, სადაც იბრძოდი და სადაც ახლა შენი გაკეთებული სატუმბავი იმუშავებს.

— წავიდეთ! ვეტყვი დედაშენს, მოგამზადოს,—უთხრა მამამ შვილს.

გახარებული გოჩა შინ შევიდა, კედლიდან ჩამოხსნა დის დიდი რუკა, ბაღში, მრგვალ მაგიდაზე გადაშალა, დაადო თითი ყველაზე მსხვილსა და დაკლაკნილ ხაზს და თქვა: ეს არის ვოლგა, ეს არის დონი. აგერ სად უახლოვდებიან ისინი ერთმანეთს!—და გოჩამ თითი გაატარა ვოლგა-დონის მისაქციელს შორის დარჩენილ ცარიელ ადგილზე.—აქ იქნება, მამიკო, ის არხი!

გახარებული მამა ზემოდან დასცქეროდა რუქაზე დახრილ შვილს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო თევზაძე

ნახატი ვახტანგ ჯაფარიძისა

ახალი ქუჩა

როგორ ვიწრო ქუჩა იყო
და რა ცუდი ბინა მქონდა.
ქუჩის მტვერი წარამარა
ქარს ოთახში შემოკქონდა.

ერთხელ ძია ინჟინერი
მოვიდა და მოჰყვა ხაღხი,
დატრიალდნენ და ორ დღეში
დაანგრიეს ჩვენი სახლი.

განა მარტო ჩვენი სახლი?
ჩვენს ქუჩაზე თითქმის ყველა:
მოიტანეს მანქანები,
ქვაც და ხრეშიც გაჩნდა ხელად.

ტყედ აღმართეს ხარაჩონი,
ცას შეუდგეს თითქოს კიბე;
დურგლები და კალატოზნი
სამუშაოდ შემოკრიბეს.

საღლა არის ვიწრო ქუჩა,
რომ დავხედე, ველარ ვიცან.
მან მხარ-ბეჭი გადაშალა,
ვით ჭაბუკმა ოცი წლისამ.

ჩვენ ახალი ბინა მოგვცეს,
სუფთა, ფართო და ნათელი,
ფანჯარას რომ ვერ ვაღებდი,
ღლეს მთელ თბილისს გადავცქერი.

ხაღხით სავსე ჩვენი ქუჩა
თვალს იზიდავს განუწყვეტლივ
და პირდაპირ, როგორც გელი,
მოჩანს უნივერსიტეტი.

გიორგი შაგბერაშვილი

საჩუქარი

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

კაკლის ხეებით დაბურული ორსართულიანი სახლის წინ საბარგო მანქანა ხმაურით შეჩერდა. კაბინიდან შავთვალწარბა, მოკლეშარვლიანი ბიჭი გადმოხტა. მალე კაბინიდან შოფერმაც გადმოიხედა, ბიჭს ზურგჩანთა და ცისფერ ქაღალდში სათუთად შეხვეული, ყუთის მსგავსი პატარა ნივთი გადმოაწოდა და გადმოსძახა:

— აბა, ილო, ახლა შენ იცი... აგერ, პაპაშენიც გამოჩნდა!

ბიჭმა შოფერს თავი ღიმილით დაუქნია. ზურგჩანთა მხარზე მოიგდო, ყუთი ორივე ხელით ფრთხილად აიღო და სახლისაკენ გაიხედა.

ივანზე მართლაც თეთრწვერა მოხუცი გადმომდგარიყო, ხელს უქნევდა, თავისკენ ეძახდა საყვარელ შვილიშვილს.

ილომ ივანზე სწრაფად აირბინა. ყუთი ფრთხილად დადო მაგიდაზე, ზურგჩანთის მოხსნა კი დაავიწყდა, ისევე, ხელებგაშლილი გაიქცა დინჯად წამოსული მოხუცისაკენ.

— ჩამოხვედი, ოჯახის ბურჯო, ჩამოხვედი?..

სიხარულით იმეორებდა მოხუცი და შვილიშვილის ხელში აყვანას ცდილობდა... ბიჭს ტანი აეყარა, გაზრდილიყო, მისი ადგილიდან დაძვრა გაუჭირდა ბერიკაცს.

— დამძიმებულხარ, ბიჭო, მოიხსენი ჩანთა, დაისვენე, მიამბე!

— ეს ჩანთა ჩემი ხუთიანებით არის გატენილი, პაპა ვანო, ხუთიანებით!

— ყოჩაღ! ეგ კარგია, მაგრამ რატომ მამაშენი არ ამომიყვანე?...

— მამას არ ეცალა.

— ეჰ, არ ეცალა! ისე უნდა მოეკვდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მისი ხმა აღარ გავიგონო!—უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა მოხუცი და თვალწინ თავისი უფროსი შვილი, საქართველოს ცნობილი მომღერალი უდგა.

ილლომ თავის ყუთს ეშმაკური ღიმილით გადახედა, გულში გაიცინა, მალე მამაჩემის ხმასაც გაგაგონებო და მოხუცის დამშვიდებას შეუდგა.

მალე დიდედა თამარიც ამოვიდა ბოსტნიდან. მასაც გაეგო შვილიშვილის საზაფხულოდ ჩამოსვლა. ხახვის კვლების სამარგლი ჩხირი ისევ ხელში ეჭირა, გახარებული ჰოკინდა ილოს. დიდედა თან აღფრთოვანებული იყო შორეული თბილისიდან პატარა შვილიშვილის მარტოდმარტო მოსვლით, თანაც სწყინდა:

— მარტო მოსულა ჩემი ვაჟკაცი, ჩემი ოჯახის იმედი, მარტო მოსულა, მაგრამ რა კარგი იქნებოდა, ჩემი შვილიც მოეყვანა!

დიდედა და პაპა თავს დატრიალებდნენ დიდი ხნის უნახავ შვილიშვილს. ხელპირი დაბანინეს, ტკბილი, სოფლური სუფრა გაუშალეს, დაანაყრეს.

დაბინდდა კიდეც. აივანი ელექტრონმა გაანთო.

ილლომ კედლის საათს შეხედა და უცებ ფეხზე წამოხტა, აფუსფუსდა.

— კინაღამ დამავიწყდა, რომ საჩუქარი მოგიტანეთ!—წამოიძახა მან, თავის ყუთს სწრაფად მივარდა, ფრთხილად ტახტზე გადადგა და ახლა ზურგჩანთის გახსნას შეუდგა.

მოხუცები ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ საქმეში გართულ ბიჭს. ილლომ ჩანთიდან წვრილი მავთულის ხვეული ამოიღო, აივნის ერთი თავიდან მეორე თავამდე მოხერხებულად გაბა, შემდეგ გაჭიმული მავთულის შუა ადგილას ისევ მავთული ჩამოაბა ყულფით. ახლა თავისი პატარა ყუთი აიღო ხელში.

— რას აკეთებ, ბიჭო, აღარ იტყვი?—შეეკითხა მოთმინებიდან გამოსული პაპა ვანო.

ბიჭმა ხითხითით შემოაცალა ქაღალდი ყუთს და ფანჯრის გარეთა რაფაზე ფრთხილად დადგა.

— რადიო!—ერთხმად წამოიძახეს მოხუცებმა.

— დიახ, ამ მიმღებს „მოსკვიჩი" ჰქვია, საჩუქრად მოვიტანეთ!—

აუხსნა ილლომ მოხუცებს, ისევ კედლის საათს შეხედა და ყულფით ჩამობმული მავთულის წვერი რადიომიმღებს „შეუერთა.

მიმღებში ელექტრონის შუქმა იელვა, ციფერბლატი გაშუქდა. გაისმა უცნაური ხრიალი. ილლომ მიმღების ღილაკები ხან მარჯვნივ გადაატრიალა, ხან მარცხნივ.. მალე აივანზე მუსიკის ტკბილი ხმა და სიმღერა გაისმა.

მოხუცები სულგანაბულნი ისხდნენ და უსმენდნენ.

სიმღერას სიმღერა სცვლიდა. აცხადებდნენ მომღერალთა გვარებს, ისმოდა ტაშის ხმა, აქამდის მიყრუებული აივანი სიხარულით ივსებოდა.

უცებ მოხუცები ფეხზე წამოდგნენ... მათ თავისი შვილის სახელი და გვარი გაიგონეს. ყურს არ დაუჯერეს, მიმღებთან ფრთხილად, ფეხაკრეფით მივიდნენ.

გაისმა ნაცნობი ვაჟკაცური სიმღერა. მღეროდა თავისუფალი ქვეყნის ლაღი მომღერალი. მის სიმღერას ბანს აძლევდნენ მშობლიური სახლის ოთახები, ფართო აივნის თაღები და აივნის წინ გაშლილი კაკლის ხეებით დაბურული ხეობა.

სიმღერა დასრულდა. გაისმა ტაშის ხმა. ბედნიერ ხუხუცებს თვალზე სიხარულის ცრემლი მოსდგომოდათ, თვითონაც უნებურად უკრავდნენ ტაშს, საყვარელ შვილიშვილს გულში იკრავდნენ და ლოცავდნენ.

— ჰაი, შე ეშმაკო, შენა!—წამოიძახა პაპა ვანომ, როცა კონცერტი დამთავრდა და აივანზე წუთით ისევ სიჩუმე დამყარდა—ამას გვიმალავდი?

ილლოს თვალები უბრწყინავდა. მოხუცების სიხარულით სტკებოდა და გულში იმეორებდა.

„მალე თბილისში ჩავალ, მამაჩემსაც ამოვიყვან და მოხუცებს უფრო მეტად გავახარებ!"

ეროვნული ბიბლიოთეკა



თინათინ კვირიკაძე — ნახატი **რ. სტურუასი**

ავტომანქანები

—გივი, გივი, გაიგონე
რას ამბობდა ახლა ტასო?
მე „მოსკვიჩი" მირჩევნია
სხვა დანარჩენ მანქანასო.

მე კი ვიტყვი: პატარაა,
სხვებისაგან განირჩევა.
მეგობრები სასეირნოდ
წაუსვლელი დამირჩება.

აი, მესმის „ზის — ას ერთი",
მისი მსგავსი მანქანები. —
სწრაფია და უფრო დიდი,
ჩაჯდები და გაქანდები."

ლაპარაკში ჩაერია,
თვალჟუჟუნა ცელქი ნინო:
—მე ერთ რამეს მოგახსენებთ,
ოღონდ კი არ გაიცინოთ:

ტვირთსაზიდავ ავტოს რა სჯობს,
დაბრკოლებას კარგად იტანს.
სამგზავროდაც გამოდგება,
ბარგსაც ბლომად გადაიტანს.

ზოგი ამბობს: ამის შემდეგ
შენი სიტყვის არა მჯერა,
მეგობრებო, გავიწყდებათ,
სასახელო „გამარჯვება".

აი, ასეთ მანქანაზე
სწორედ რომ ღირს ლაპარაკი.
თქვენ თუ კარგი ბიჭები ხართ,
მოუნახეთ რამე ნაკლი.

ვინ იქნება ისეთი რომ
შიგ ჩაჯდომა დაეზაროს.
უეჭველად დროზე მიხვალ
სადაც უნდა გაემგზავრო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. თომაძე

ნახატები ვ. ტროტაძისა

თხუპნია თითი

პირველ კლასელ გოგონებს ქართული წერის გაკვეთილი ჰქონდათ. ყველა თავის რვეულს ჩასცქეროდა; ისმოდა კალმების წრიპინი და ზოგიერთი მოუსვენარი მოწაფის ჩურჩული.

—უი, — წამოიძახა უცებ ერთმა გოგონამ და გვერდით მჯდომ ამხანაგს გადახედა:

—ელისო! მიშველე, ხედავ, რა დამემართა?!

ელისო კი იჯდა მშვიდად და გულმოდგინედ წერდა; თითქოს ხატავსო ისე აქანდაკებდა ყოველ ასოს. ამხანაგის შეძახილზე მან ცალი თვალით გადაათვალიერა მისი რვეული. რვეულის ფურცელი ერთ ადგილას გახვრეტილი იყო.

—თინა, შენ სულ აგრე იცი!—უსაყვედურა ელისომ.—**დაღვრი** მელანს ფურცელზე და მერე თითით იმდენ ხანს ჩიჩქნი, ვიდრე არ გახვრიტავ.

—რა ჩურჩულია მანდ? — დაიძახა ნინო მასწავლებელმა და მათი მერხისაკენ წავიდა. ბავშვები გაიტრუნენ. თინამ მოასწრო, რვეულის ფურცელს საშრობი ქაღალდი დააფარა.

—აბა, აიღე საშრობი ქაღალდი.— უთხრა მასწავლებელმა თინას.

გოგონამ ხანტალ გასწია ქაღალდი გვერდზე.

—ეს რა არის? — აჯავრდა ნინო მასწავლებელი.—შე თხუპნიავ, შენა. კიდევ აჩიჩქნე რვეული შენებურად? სასწავლო წელი მთავრდება და შენ კი სუფთად წერა მაინც ვერ ისწავლე.

ბავშვებმა წერა შეწყვიტეს და ცნობისმოყვარე თვალებით იყურებოდნენ მესამე მერხისაკენ.

საკლასო ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ჯერ კიდევ გუშინ, მასწავლებელმა განსაკუთრებით გააფრთხილა თინა: ხვალ უკანასკნელად



გვაქვს ქართული წერა და ,ეცადე კარგად დაწეროო!

—თინა, რადა ხარ ასეთი სულაფრაფი?—უსაყვედურა მასწავლებელმა. —ყოველდღე გაფრთხილებ, თუ გინდა სუფთად და ლამაზად სწერო, ნუ აჩქარდები.

თინა გაუბედავად წამოდგა. ლოყაზე და ნიკაპთან მელნიანი თითის კვალი აჩნდა. სახე მთლად ალეწოდა, თითები მელნით ჰქონდა მოთხუპნული.

—მე არა ვჩქარობდი.—წაილუღლუღა თინამ.

—მაშ რა მოხდა?

—ელისომ ხელი მკრა და იმიტომ, —ჩუმად ჩაილაპარაკა თინამ.

—არა! არა, ტყუილია, — გაისმა აქეთიქიდან ბავშვების შეძახილები.

—ნუ ხმაურობთ,—გააჩუმა ისინი მასწავლებელმა.

კლასში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ელისოს შესცქეროდა. თინას სიტყვებზე ელისო შეკრთა, მაგრამ დინჯი გოგონა იყო, იჯდა თავისთვის წყნარად და ხმას არ იღებდა.

— აბა, ელისო, შენ რაღას იტყვი? — შეეკითხა მას ნინო მასწავლებელი.

მასწავლებლის მიმართვაზე ელისო ზეზე წამოდგა. ბავშვები გულის ფანცქალით ელოდნენ, რას იტყოდა ელისო.

— პატივცემულო მასწავლებელო! მეხელი მომიხვდა და მელანი დავაღვრე.

ვინე.—ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა ელისომ.

ბავშვებმა მძიმედ ამოისუნთქეს. ყველა გრძნობდა, რომ თინამ იცრუა, მასწავლებელმაც იცოდა, რომ ელისო მთელ კლასში სანიმუშო მოსწავლე იყო და იგი ამას არ ჩაიდენდა.

— რადგან ასეა,—თქვა ნინო მასწავლებელმა,—ელისო! მომეცი შენი რვეული, მაშ, ასე, მარტო შენ გინდა სწერო სუფთად და ლამაზად, სხვებს კი ხელი შეუშალო? გადი გარეთ და იქ დაიცადე გაკვეთილის დამთავრებამდე.

ელისოს ყელში რაღაც მოაწვა, მაგრამ ხმა აღარ ემორჩილებოდა.

— თინა, შენ კი დაიწყე წერა ახალი ფურცლიდან! — უთხრა ნინო მასწავლებელმა. ელისომ საყვედურით გადახედა თინას. თვალები ცრემლით აევსო და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა კარებისაკენ.

ის იყო, ელისომ კარების სახელურს ხელი მოჰკიდა, რომ ოთახში გაისმა ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ხმა:

— ელისო, შეჩერდი!

გოგონამ უცებ გაუშვა ხელი კარებს და მასწავლებლისაკენ შემოტრიალდა.

— მე მუდამ თქვენისთანა პატარებს ვასწავლიდი, და ჯერ ბავშვი გაკვეთილიდან გარეთ არ გამიგდია; თქვენ კი, თქვენი სიჯიუტით აი, სადამდე მიმიყვანეთ! — თქვა ნინო მასწავლებელმა.

ძლიერ გაჯავრებული იყო ნინო მასწავლებელი, ბავშვები პირველად ხედავდნენ მას ასე აღელვებულს.

— მე მოვითხოვ, რომ დამნაშავემ ბოდიში მოიხადოს. — თქვა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ. ბავშვები თინას შესცქეროდნენ, თითქოს თვალებით ეკითხებოდნენ „რატომ სდუმხარო?“. თინამ თვალი გადაავლო მთელ ჯგუფს, და როდესაც კარებთან მდგარ ელისოს შეჰხედა, თავი ძირს დახარა და მელანში გათხუპნულ თითს სრესა დაუწყო. მერე ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო მასწავლებელო!

— ყოჩაღ თინა! — შესძახეს გახარებულმა გოგონებმა.

— დაწყნარდით, ბავშვებო! — მიმართა მათ მასწავლებელმა. — თინას კიდევ უნდა რაღაცის თქმა.

— ვიცრუე. — უფრო გაბედულად განაგრძო თინამ. — ელისოს ჩემთვის ხელი არ უკრავს, მე თვითონ დამეღვარა მელანი. და აი, ამით... — თინამ მელანში ამოთხუპნული, საჩვენებელი თითი გაიშვირა. — ვცდილობდი ამომეშალა, ამომეფხიკა!

აქამდე მოღუშული იდგა ნინო მასწავლებელი, ახლა კი თითქოს გულზე რაღაც მოეშვაო, — სახე გაუნათდა და თინასაკენ წავიდა.

— ეჰ! შე ცუღლუტო, შენა, მაგ შენი თხუპნია თითის გამო რამდენი დრო დავკარგეთ, მეორედ აღარ იცრუო, და ცილი არ დასწამო ანანაგს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

ნახატი გ. ჩირინაშვილისა

პატარაა, ერთი ციდა...

პატარაა, ერთი ციდა,
მაგრამ თავი მოაქვს დიდად;
ვერ ახერხებს ჯერ ტანთ ჩაცმას,
ეჯიბრება მაინც და-ძმას.

და დედიკო ძალისძალად
ტანზე აცმევს გურის ხალათს,
მაგრამ გური ხალათს იხდის,
ვაიძახის: „ველარ მიხვდით,

რომ დიდი ვარ უკვე ახლა“!
და ხალათი მან ხელახლად
გადაიცვა უცებ, ხელად...
სიცილი რომ შესკდა ყველას,

გური მაშინ კი დარწმუნდა:
ხალათს ჩაცმა წალმა უნდა!

არ დაღონდა მაინც გური,
სულ არ გაიტეხა გული:
ხალათი კვლავ გაიხადა,
წალმა იცვამს, გაუხარდა:

თუმცა ცოტა კი იწვალა;
ტანზე ჩაცმა დაისწავლა,
ფეხზე ჩაცმა მოახერხა,
პირის ბანაც,-კბილის ხეხვაც...

სარკეში რომ ჩაიხედა,
გაულიმა გურიმ დედას...

პატარაა, ერთი ციდა,
მაგრამ თავი მოაქვს დიდად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი გრ. ჩარინაშვილისა

ანა ხახუჯაშვილი

ძველი ტანსაცმელი

გათენდა. მამალმა ქანდარიდან ისკუპა და ყიყლიყო შემოსძახა, მერე მაროს აივანთან აიტუზა და ელის! აგერ ისიც გამოჩნდა. ის სულ პაწაწინა გოგოა, ხელში პურის ნატეხი უჭირავს და მამალს უჩვენებს. მამალი ხან გვერდზე გაიხედავს, ხან ზეცას ცალი ოვალით შეუჭვრიტინებს და ნელ-ნელა უახლოვდება.

— გინდა პური?! ხომ გინდა?! მოდი ახლო, ნუ გეშინია, მარტო ზურგზე ხელს გადაგისვამ, მოდი ჯუჯულა, მოდი!..— ეხვეწება გოგონა, პურს უწვდის და ნელ-ნელა უახლოვდება. მის მიახლოვებაზე ეშმაკმა მამალმა უკან დაიწია და გასაქცევად შეტრიალდა. გარბის მამალი და მისდევს გოგონა. მამალი კიბის ქვეშ დაიმალა და რაკი მარომ იქაც მოძებნა, მამალმა თავის ნამდვილ ცოხე-სიმაგრეს მიაშურა: გაქანდა და ჭინჭრებში დაიმალა, გოგონას კი ძლიერ ეშინია ჭინჭრებისა, ბევრჯერ უგემნია დასუსხვა და ერიდება.

— აი, სულ მე შევჭამ და შენ კი ისე დარჩები!—ბუტბუტებს გოგონა ჭინჭრების შორიახლო და მამლის ჯიბრზე უფრო გემრიელად ილუკმება. ნამცეცები უხვად იბნევა მის ფეხებთან და თვალებდაჭყეტილი მამალი ჭინჭრებიდან ხარბი თვალით იჭყიტება. მისი წითელი ბიბილო ყაყაჩოსავით ირხევა ბალახებში.

რაკი მამალი არ გამოეკიდა, გოგონამ ეშმაკურად პირი შეიბრუნა და როცა მამალმა ნამცეცებს კენკვა დაუწყო, მარო უცებ მოტრიალდა და წითელ-ყვითლად დამშვენებულ მის ბოლოს დასაჭერად ხელი წაატანა. მამალი გაუსხლტა, ისკუპა და რუზე გადახტა. შემდეგ ნასახლართან დაგორებულ ძველ ქვევრებს შორის დაიმალა. გოგონამაც ცრემლივით სუფთა რუ გატოპა, ქვევრთან რომ მივიდა, მამალი სულ გადაავიწყდა; ძლიერ უყვარს მაროს პირდაღებული ქვევრი რომ ეხმაურება.

— აუ, აუ!—ჩაჰყვირა გოგონამ და სიხარულით ცას დაეწია, როცა ქვევრმაც ამოსძახა. გოგონა ხტის და ჭყიპინებს, ქვევრიც ეხმაურება და გოგოს პურის ნატეხი და მამალი სულ აღარ აგონდება. მამალმა კი სწორედ ახლა იდროვა, მეორე მხრიდან მიეპარა და, როცა გოგონამ სიმღერა გაიბა, მამალმა კისერი მოიღერა, ერთი კოხტად ჩაუნისკარტა და პური ხელიდან გამოაცალა. ახლა კი ქვევრმა ჰანგი შესცვალა; გოგო და ქვევრი ერთი ხმით ღრიალებენ, და მამალი კი არხეინად ღობისაკენ გაქანდა.

გოგონა ჯოხს დასწვდა და მამალს შორიდან დაეშუქრა:

— შე წუწკო ჯუჯულა! მეჯავრები! საძაგელო! —გოგონამ სიტყვა ვერ დაათავა, რომ უცებ მაღლიდან უშველებელი ძერა წამოვიდა და მამალს მოულოდნელად თავზე დაეცხრა, ატყდა საშინელი კრიახი. მარო მიხვდა, რომ მამალი განსაცდელში იყო, გაქანდა და სანამ ძერა აფრენას მოასწრებდა, ჯოხი მაგრად უთავაზა. ახლა კი იკადრა თავხედმა ძერამ აფრენა, მამლის ბუმბული ჰაერში ააფრიალა და მიიმალა, მარომ კი დიდი ხნის საწადელს ძლივს მიაღწია; დარეტიანებულ მამალს დასწვდა, იქვე ჩაჯდა და გულში ჩაიხუტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვახტანგ გორგანელი

ნახატი **გრ. ჩირინაშვილისა**

მომავალი მშენებლები

ახმაურდა უცებ ქუჩა
საამური ხმებით.
გაზაფხულის ნიავს მოაქვს
ტკბილი სიმღერები.

შეგირდების მტკიცე ნაბიჯს
რა ხალისი მოჰყვა!
ერთნაირად ტანთ ჩაუცვამთ
ლამაზად და კოხტად.

არ აკლიათ ალერსი და
მშობლიური სითბო.
ისე უყვართ ერთმანეთი,
ძმები იყვნენ თითქოს.

ზოგი რკინის წრთობას სწავლობს,
ზოგი რკინის ჩარხვას.
მათაც მალე მშენებლობის
ხარაჩოზე ვნახავთ.

მათ პატარა ხელსაწყოებს
განა მტვერი ადევს.
მზის სხივები დასთამაშებს
ჩარხებსა და დაზგებს.

შეგირდების მოდის რაზმი
საამური ხმებით.
გაზაფხულის ნიავს მოაქვს
მათი სიმღერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელაკუდა

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატები ს. გაბაშვილისა

ზღაპარი

მელაკუდა სოროსაკენ მიცუნცულებდა. გზაზე დათვი შეამჩნია, რომელიც გულაღმა იწვა და კვნესოდა.

— რა გაწუხებს, დათუნა?—შეეკითხა მელაკუდა.

— მუცელი მტკივა.—უპასუხა შეწუხებულმა დათვმა.

— მერე, რა მოგარჩენს?

— შენ კი გაიხარე, მელაკუდავ. თუ, დახმარება გსურს, ციყვთან გამეგზავნე, უებარი წამლები აქვს.—თხოვა დათვმა მელას.

— ახლავე წავალ,—თქვა მელაკუდამ და გაცუნცულდა.

— წავიდე, თუ არა?—შეყოყმანდა მელია გზაჯვარედინთან,—აქედან ჩემი სორო ორ ნაბიჯზეა, ვიდრე ციყვთან ჩავალ და გამოვბრუნდები, ცხრაპირს გამოვიძინებ. მეც მტკივებია მუცელი, მაგრამ არავინ შემიწუხებია!

მელიამ სოროსაკენ გაუხვია, შეძვრა შიგ, ფაფუკი კუდი თავქვეშ ამოიდო და ხვრინვა ამოუშვა.

დათვი კი უფრო და უფრო წუხდა. მოუთმენლად გასცქეროდა გზას: მოვა მელაკუდა და მეშველებაო.

სად იყო, სად არა, ნაცარა კურდღელი გამოხტა, დათვთან წამოსკუპდა და თანაგრძნობით შეეკითხა:

— რა გაწუხებს, დათუნი?

— ვკვდები, ნაცარავ, ვკვდები!..—წაილუღლუღა დათვმა და კვნესას უმატა.

კურდღელმა, გაიგო თუ არა დათვის ავადმყოფობა, მაშინვე ციყვის აფთიაქისაკენ მოჰკურცხლა.

ციყვმა წამალი მწვანე ფოთოლში გაუხვია ნაცარას და თან ასწავლა, როგორც უნდა დაელევინებინა.

დათვმა დალია თუ არა წამალი, ტკივილი მაშინვე გაუყუჩდა.

— ახლა ხომ კარგად ხარ, დათუნი?—ჰკითხა ნაცარამ.

— კარგად ვარ, ჩემო ნაცარავ, კარგად! უკვე მოვრჩი. ამალამ შენი მოკეთეებით სტუმრად მეწვიე. ახლა კი ნუ დაიზარებ და მელაკუდას ამბავი შეიტყვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მიზეზით ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა?—წუხდა დათვი.

კურდღელმა თვალის დახამხამებაზე მოირბინა ტყე, მელაკუდა რომ ვერსად ნახა, სოროსთან მივიდა და დაუძახა:

— მელაკუდავ, სახლში ბრძანდები?

— რა გინდა, ნაცარავ?—უკმეხად უპასუხა ნამძინარევმა მელიამ.

— დათვმა გამომგზავნა, შეიტყვე მელას ცუდი ხომ არაფერი შეემთხვაო, —მიუგო კურდღელმა.

— გულთმისანი ყოფილა, ფეხი ვიღრძე... კუდს გეფიცები ძლივს მოვაღწიე სორომდე.—საწყლად თქვა მელიამ და თვალებში თათი ამოისვა.

— მაშ, ამაღამ დათვის წვეულებას ვერ დაესწრები?

— რაო, წვეულება აქვს, თუ?!—სახე გაუბრწყინდა მელაკუდას.

4927

— დიდებული, დიდებული...—გააზვიადა კურდღელმა.

— მიუსვლელობა როგორ შეიძლება? ჭირშიც და ლხინშიც მეგობრებთან მიყვარს ყოფნა!—თქვა მელაკუდამ და თათი ულვაშებზე გადაისვა.

მოსაღამოვდა თუ არა, მელაკუდამ ჯოხი მოიმარჯვა და კოჭლობით გასწია დათვისაკენ.

დათვის ეზოში სტუმრებს თავი მოეყარათ.

— მელაკუდას გაუმარჯოს, მელაკუდას!...—შესძახა ყველამ ერთად.

— იცოცხლეთ, იცოცხლეთ,—უპასუხა მელაკუდამ და მაგიდას მიუახლოვდა.

— მელაკუდავ, ძლიერ ვწუხვარ, რომ ჩემი მიზეზით გეტკინა ფეხი!—მეგობრულად უთხრა დათვმა, ყანწი ასწია და მელია დალოცა.

— „ძმა ძმისთვისო,—შავ დღისთვისო“ —თქვა ცბიერმა მელაკუდამ და სამადლობელი ყანწი გამოსცალა.

ლხინი გაჩაღდა.

დათვმა ხის გადაჭრილ ძირს თათებით ტყაპა-ტყუპი აუყენა, კურდღლებმა კი ტაში შემოჰკრეს.

ტურამ წრეს ჩამოუარა და მელაკუდა საცეკვაოდ გამოიწვია.

მელაკუდას სულ გადაავიწყდა „ფეხის“ ტკივილი, ისე კოხტად გაუსვ-გამოუსვა ფეხები, რომ ყველა ცეკვის გუნებაზე დააყენა.

— აი, შე ეშმაკო, მიგიხვდი, რომ განგებ იგონებდი კოჭლობას!—გადაუჩურჩულა ტურამ მელაკუდას. მელაკუდამ ულვაშებში ჩაიცინა.

ტურამ ეს ამბავი კურდღელს გადაუჩურჩულა, კურდღელმა დათვს, დათვმა — სხვებს და ატყდა სიცილი.

ცეკვის შემდეგ მელაკუდას ის იყო წითლად დაბრაწული დედალი უნდა დაეთრია, რომ დათვის ბურდღუნი გაისმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ ყველა ჩემი მეგობრები მგონია და ფლიდსა და გაიძვერას კი არ გავიკარებო, და მელაკუდასაკენ გაიწია. სტუმრები ძლივს აჩერებდნენ გაბრაზებულ დათვს. მელაკუდამ იფიქრა: მასპინძელს თავს შევაბრალებო და მოკუნტული, კოჭლობით წავიდა ჭიშკრისაკენ, მაგრამ უკან აღარ მიიპატიჟეს...

ლხინი ისევ გაჩაღდა.

გაწბილებული მელაკუდა ხეს ამოეფარა, შორიდან უცქერდა მოლხენილ სტუმრებს და ნერწყვს ყლაპავდა.

თამარ ჩხაიძე ნახატი პ. დათებაშვილისა

აღარ დაბრუნდა!

პირველად ფისომ აპატია ბიჭიკოს კუდში ხელის ჩავლება. არ დაჰკაწრა, თუმცა სიმწრისაგან აღარ იცოდა, რა ექნა.

— რა ზრდილობა მოეთხოვება აკვანში ჩაკრულ ჩვილს!—ასე გაიფიქრა ფისომ და სახლის სახურავს ფრთხილად აჰხედა: ხომ არ დამინახეს მეზობლების კატებმა, ხომ არ მომეკრა თავიო. ხუმრობა ხომ არ იყო იმ მჩხავანების პირში ჩავარდნა:—მიავ, მიავ, მი-ა-უ-უ!—გააბამდნენ კნავილს ეზოებში, და ფისო თავისი განთქმული ფაფუკი კუდით შერცხვებოდა კატებთან. ან რა პატივსაცემია კუდით ნათრევი კატა?

კიდევ კარგი, რომ დერეფანში ფისოს და ბიჭიკოს გარდა არავინ იყო.

წელან არავის დაუნახავს, თუ როგორ მივიდა ფისო აკვანთან და ბიჭიკოს მიესალმა, ქათინაურიც კი უთხრა: რა ლამაზი, რა ფუნჩულა ხარო.

ბიჭიკომ აკვანზე დაკიდულ ჭრელ მძივებს ხელი გაუშვა და ფისოს გაუღიმა.

მოვეწონე; როცა გაიზრდება, გემრიელ ლუკმას დამიგდებსო, — გაიფიქრა ფისომ და ბიჭუნა რომ უფრო მოეხიბლა, ბუმბულა კუდი ნაზად გაიქნია.

სწორედ მაშინ სტაცა ბიჭიკომ კუდში ხელი, სწორედ მაშინ გაამწარა ფისო.

— არაუშავს, ჩქარა ჭკუაში ჩავარდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა!—ასე ინუგეშა ფისომ თავი და გადასწყვიტა აკვანს ახლოს არ გაჰკარებოდა.

გავიდა დრო და ბიჭიკომ ოჭივარით გაიარა დერეფანში. გაეხარდა ფისოს, მოუალერსა, მიუკრუტუნა, ქათინაურიც კი უთხრა:, „მანქანასავით“ მიაგორებ ოჭივარსაო, და თავისი სიტყვები კუდის რხევით დაადასტურა.

სწორედ მაშინ სტაცა ბიჭიკომ კუდში ხელი და მეორედ გაამწარა ფისო.

ფისომ ისევ აპატია ბიჭიკოს დანაშაული. არ დაჰკაწრა:

აბა, რა ზრდილობა მოეთხოვება ფეხაუდგმელ ბავშვსაო, და სახურავზე ფრთხილად აიხედა: მჩხავანა კატებმა ხომ არ დამინახესო, მაგრამ, საბედნიეროდ, იქ არც ერთი კატა არ ჭაჭანებდა.

კიდევ გავიდა დრო, დერეფანში შემოსულ ხის შტოებზე ფოთლები ყვითლდებოდნენ, როცა ბიჭიკომ ფეხი აიდგა, გაეხარდა ფისოს, მიუალერსა, მიუკრუტუნა, ქათინაურიც კი უთხრა: როგორ დავაჟკაცებულხარო, და აღტაცების ნიშნად ბუმბულა კუდი გაიქნია: უკვე დიდი ბიჭია, უწესობას როგორ იკადრებსო,—ასე გაიფიქრა ფისომ, მაგრამ ბიჭიკომ სწორედ მაშინ სტაცა კუდში ხელი.

— ახლა კი არ გაპატიებ, შენხელა ბიჭს ზრდილობა მოეთხოვება!—მიაკნავლა ბიჭიკოს ფისომ, ხელი გაუკაწრა და სახურავზე ავარდა.

ბიჭიკოს ხელი მოურჩა. ფისო კი აღარ დაბრუნდა.

ამაოდ ეძახის ბიჭიკო:—ფისო, ფისო, ფისოო! ფისო არსად ჩანს. ის სხვა ბიჭიკოსთან წავიდა, თავაზიან ბიჭიკოსთან, რომელიც მის კუდს პატივისცემით ეპყრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

სამ დას ჰქონდა სათითაოდ
ყვავილები თითო ქილა;
თითოც დედამ პირველ მაისს
მიუძღვნა და დაუწყვილა.

ყვავილები ჩაამწკრივეს
რიკულს გარეთ აივანზე;
ერთი ფისომ გადაავდო
და დაეცა ცუგას თავზე.

ცუგა ფისოს გაეკიდა,
ფისო აძვრა სახლის ბანზე...
გამოიცან: სულ რამდენი
ქილა დარჩა აივანზე?!

დავით ძეძამიძე

ДИЛА
ГОСПУБЛИЧ. Б-КА
12 3
6-38/127
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 მან.

ნახატი გ. როინიშვილისა

გასართობი

ხალხური თამაშობა
გატანია

თამაშში მონაწილეობს 20-დე ბავშვი — გოგონები და ბიჭუნები. მათგან გამოიყოფა ორი მოთამაშე, რომელთაც „დედები“ ეწოდებათ. „დედები“ დგებიან ერთიმეორის პირისპირ და ხელებს ერთმანეთს ალაგებენ მხრებზე.

ერთ-ერთი დედა ამბობს: „არჩევანი მე“, მეორე პასუხობს — „არადანი მე“. პირველი ირჩევს იმ მოთამაშეს, რომელიც მას სურს. მეორე „დედაც“ დარჩენილებიდან აირჩევს რომელიმეს. ამის შემდეგ არჩევანი ეკუთვნის მეორე „დედას“ და ასე რიგ-რიგობით, ვიდრე ყველა მოთამაშეს არ გაინაწილებენ.

ჯგუფები ერთიმეორის პირისპირ დგებიან მწკრივად. თითოეული ჯგუფის მოთამაშეებს ხელები ერთიმეორეზე მაგრად აქვთ ჩაჭიდებული. ჯგუფებს შორის მანძილი 15-დე ნაბიჯია.

ერთი მხარის ერთ-ერთი მოთამაშე მეორე მხარის მოთამაშეებს გასძახებს:

„მალხაზებო!“

მეორე მხრიდან ვინმე პასუხობს:

„ჩვენ გახლავართ!“

„ბავშვი გვინდა!“

„თუ ბიჭი ხარ, წაიყვანე!

ამის შემდეგ, ის მოთამაშე, რომელმაც „მალხაზები“ დაიძახა, გარბის და ეჯახება მოპირდაპირე ჯგუფის ხელიხელჩაკიდებულ მოთამაშეებს, რომ ხელები გააშვებინოს, მწკრივი გასწყვიტოს, ესე იგი „გაიტანოს“. თუ ეს მოახერხა, იმ მოთამაშეთაგან, რომელთაც ხელები გააშვებინა, ერთერთს წაიყვანს და თავის მხარეზე ჩააბამს თამაშში, ხოლო თუ მწკრივის გაწყვეტა ვერ მოახერხა, თვითონაც ამ ჯგუფში რჩება.

„მალხაზების“ დაძახებას მოპირდაპირენი რიგ-რიგობით აწარმოებენ.

როცა ერთი ჯგუფი ყველა მოთამაშეს ამგვარი თამაშის შედეგად მოპირდაპირე მხარეზე აღმოჩნდება, თამაში დამთავრებულია და თავიდან უნდა დაიწყოს.

ზაქარია შერაზადიშვილი

ყდაზე: „მშობლიურ სოფელში“ ნახატი შალვა ცხადაძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რ ე ვ ა ზ მ ა რ გ ი ა ნ ი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. ჭუნაფქლიშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 6, Июнь 1951 г. Тбилиси, Ленина 14. Детюниздат Грузии
საბლიტგამი. რედაქციის მისამართი· თბილისი ლენინის 14. 3 სართ.ტელ. 3-37-58
გამომც. შეკვ. № 176 სტამბის შეკვ. №653|1870 ტირაჟი 7000 უე 01685 ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ„კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42